

თბილისის უნივერსიტეტის შრომები

164

ენათმეცნიერება

თბილისი 1975

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

TBILISI UNIVERSITY PRESS

#127#

საკუთარი სახელი ენის საერთო ლექსიკაში

ბესარიონ ჯორბენაძე

§1. საკუთარი სახელის ადგილის განსაზღვრა ნებისმიერი ენის საერთო ლექსიკაში იმ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა გამოკვლევასა და განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ენათმეცნიერებაში. ამ საკითხის გადაწყვეტაზე ფაქტიურად დამოკიდებული საკუთარ სახელთა კვლევის შემდგომი ბედი, სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა და ენაში საკუთარ სახელთა თავისებური სისტემების დადგენა.

საკუთარი სახელების შესწავლის დროს უპირველესი დაისმის კითხვა: რა უნდა იყოს ამოსავალი საკუთარი სახელების ენობრივი ბუნების განხილვისას, რას

უნდა დაეფუძნოს მათი მეცნიერული შესწავლა, რით ან როგორ უნდა გამოვლინდეს მათი ენობრივი არსი? საზოგადო სახელებთან შედარება-შეპირისპირების გზით საკუთარ სახელთა კვლევა, რასაკვირველია, გამოავლენს იმას, თუ რით ემსგავსება და რით განსხვავდება საკუთარი სახელი საზოგადოსაგან, მაგრამ ამის გარკვევა ნაკლებს მოგვცემს თვით საკუთარი სახელის ენობრივი არსის დასადგენად. სხვაგვარად: ზემოაღნიშნული გზით ჩვენ დავადგინეთ, რა არ არის საკუთარი სახელი, მაგრამ ვერ ვიტყვით იმას, თუ რა არის იგი. ამის გასარკვევად უნდა ამოვიდეთ თვით საკუთარი სახელების თავისებურებებიდან, თუმცა, რა თქმა უნდა, პირველი ეტაპი მაინც მათი საზოგადო სახელებთან მსგავსება-განსხვავების დადგენაა.

§2. სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ამ მსგავსება-განსხვავებათაგან უმთავრესის განხილვაზე, საჭირო ჩანს გაირკვეს ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ლექსიკოლოგიის ზოგად პრობლემებს წარმოადგენენ. უნდა დადგინდეს თვით საზოგადო სახელის ადგილი ენის საერთო სისტემაში, დახასიათდეს ის კატეგორიები, რომელთა საფუძველზეც ხდება საზოგადო სახელის გამოყოფა და მისი შესწავლა.

რასაკვირველია, აქ თავდაპირველად დადგება საკითხი თვით სიტყვის ბუნების შესახებ. საკითხი, რომელიც ენათმეცნიერების ერთ-ერთ უძველეს პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს, პრობლემა აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ურთიერთობის შესახებ.

სიტყვის ორი მხარე — ფორმა (ფონეტიკური გარსი) და შინაარსი (მნიშვნელობა) — დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს, თითოეული მათგანი ერთმანეთისგან დამოუკიდებელიცაა და ერთმანეთით შეპირობებულიც იმავდროულად, ემორჩილებიან ცვლილებისა თუ განვითარების თავისეულ წესებს, მაგრამ ამასთან ერთად თითოეულის ცვლილებაცა და განვითარებაც მათი ურთიერთგავლენის შედეგად შეიძლება იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ენობრივ სისტემაში სიტყვის რეალურობის შესახებ

ნაირგვარი ვარაუდია გამოთქმული (იხ. მაგალითად, [1], 130; [2], 317; [4], 168, 223, 290), სიტყვის, როგორც გარკვეული მნიშვნელობის მქონე ენობრივად სასრული და გამოყოფილი ფორმის არსებობა, უდავოა, რადგან სწორედ სიტყვაა ის უმცირესი ელემენტი, რომელშიც სავსებით არის რეალიზებული ის, რაც საერთოდ მთელი ენის ბუნებას განსაზღვრავს — ფორმისა და შინაარსის ერთიანობა.

§3. სიტყვის არც ფორმა და არც მნიშვნელობა ენაში არ რეალიზდება „წმინდა“ სახით. ეს ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, სიტყვის „წმინდა“, ზოგადი ფორმა (ანუ მისი ფუძე) არასდროს გვხვდება გრამატიკული გაფორმების გარეშე (მიიღწევა ეს აფიქსაციითა თუ კონსტრუქციაში სიტყვის ადგილითა და სიტყვათა კონტექსტური ურთიერთობით), და, მეორე მხრივ, „წმინდა“ ლექსიკური მნიშვნელობა ყოველთვის რეალიზებულია გრამატიკულ ფუნქციასთან ერთად ფორმისა და შინაარსის ეს ორი პლანი განუხრელად ფუნქციონირებს ენობრივი სისტემის ყველა დონეზე: ბგერის, სიტყვისა და შესიტყვების დონეებზე. თუ ამასთან დაკავშირებით გავითვალისწინებთ მათ შემსწავლელ ენათმეცნიერულ დარგებსაც, მაშინ ყოველივე ეს სქემატურად ასე შეიძლება წარმოვსახოთ.

პლანი დონე	ფორმა	შინაარსი (ფუნქცია)
ბგერა	ფონეტიკა	ფონოლოგია
სიტყვა	მორფოლოგია ლექსიკოლოგია	სემასიოლოგია
შესიტყვება (უმარტივესი: სინტაგმა)	სინტაქსი	სტილისტიკა ¹

§4. სიტყვის ფორმაცა და მნიშვნელობაც, არ ფუნქციონირებს რეალური ან წარმოსახული კონტექსტის გარეშე. კონტექსტი გარკვეულ გავლენას ახდენს სიტყვის ფონეტიკურ გარსზეც. რაც შეეხება გრამატიკულ ფორმას, იგი იმთავითვე კონტექსტურია. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისა და გრამატიკული ფუნქციის დადგენის დროსაც. ზოგადი ლექსიკური მნიშვნელობა, მაგალითად, სიტყვისა „წყალი“ არ არსებობს, ყოველ კონკრეტულ კონტექსტში მას ყოველთვის კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობა ექნება, მეტიც: ზოგჯერ სავსებით ერთნაირი ორი ან მეტი კონტექსტიც კი შესაძლებელია ნაირგვარი მნიშვნელობის მქონე იყოს კონტექსტთა სხვადასხვა სისტემაში (შდრ. „დილაადრიან მძინარეს თავზე ცივი წყალი გადაასხა“, და: „თხოვნაზე, დახმარების ნაცვლად, ცივი წყალი გადაასხა“). კონტექსტი განარჩევს სიტყვის ზოგად, აბსტრაქტულ და კერძო, კონკრეტულ მნიშვნელობებსაც (შდრ. „საჭიროა ხასიათის სიმაგრე“ და: „ხეობაში მიუვალი სიმაგრე ააგეს“). საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ე.წ. „აბსტრაქტული“ მნიშვნელობა სიტყვის ენობრივი ფარგლების მიღმა ძევს, ენაში კი თვით ამგვარ „აბსტრაქტულ“ სახელთა მნიშვნელობაც ყოველთვის კონკრეტულ-კონტექსტურია (შდრ. „სტუდენტობა საუკეთესო ხანაა ადამიანის ცხოვრებაში“

¹ „შესიტყვების მნიშვნელობა. . . სტილისტიკის საგანია“ (იხ. [5], 261).

#129#

— სტუდენტობა აქტიურ მონაწილეობას დებულობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში“). რეალური კონტექსტი სიტყვას შესაძლოა არ ახლდეს და სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა მაინც გასაგები იყოს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ სიტყვასთან რაიმე კონტექსტი არ ივარაუდება. საქმე ისაა, რომ ყოველი სიტყვისათვის, რა რაოდენობის კონტექსტშიც უნდა გვხვდებოდეს იგი საერთოდ, მუდამ იგულისხმება ერთი ძირითადი, ენაში ყველაზე უფრო გავრცელებული

კონტექსტი (იხ. [6]) და ცალკე აღებული სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ჩვენს ცნობიერებაში ამ კონტექსტითაა ფიქსირებული. თითოეული სიტყვა უზუალურად გარკვეულ კონტექსტს მიეკუთვნება, მოცემული სიტყვის ამ კონტექსტში დადგენილი მნიშვნელობა ძირითადი ხდება მისთვის. მაგალითად, ქართულსი საყოველთაოდ ხმარებული ისეთი სიტყვისათვის, როგორიცაა „წ ე რ ა“, უპირველესად ივარაუდება მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს კონტექსტში „წ ე რ ა წერილისა (წიგნისა, მეცნიერული გამოკვლევისა, მოთხრობისა...)“, სხვა, არაძირითად კონტექსტში მას შეიძლება ნაირგვარი (პირდაპირი თუ მეტაფორულ-გადატანითი) მნიშვნელობებიც ჰქონდეს, მაგალითად „ხატვისა“, „წრისა“, „დაბედება-ბედისწერისა“ (იხ. [7]).

§5. სიტყვის თეორიაში არსებითი მნიშვნელობის მქონედ უნდა ჩაითვალოს მოტივაციის პრობლემა. ფართო გაგებით მოტივირებული ფონეტიკური პროცესიც (მაგალითად, რ-რ: რ-ლ — ორჯერ → ორჯელ...), მორფოლოგიური ფორმაც („ხის სახლი“ — საზღვრული იწვევს მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას), ლექსიკური მნიშვნელობაც (რადგან იგი კონტექსტით, სხვა სიტყვებთან ურთიერთობით დგინდება). ვიწრო, სპეციფიკური გაგებით მოტივაცია სიტყვის ფონეტიკურ გარსს უკავშირდება. ამ მხრივ სიტყვა შეიძლება იყოს მოტივირებულიც და არამოტივირებულიც¹. ეს ცნობილია ([1], 79; 127-129), ოღონდ უნდა განირჩეს მოტივაციის ორი სახეობა: შინაენობრივი და გარეენობრივი².

§6. ცნებისა და სიტყვის ურთიერთმიმართების პრობლემა ძველთაგანვე იმსახურებდა საგანგებო ყურადღებას. თავისთავად ცნების პრობლემა არ წარმოადგენს უშუალოდ ენათმეცნიერების რომელიმე დარგის განხილვის საგანს, მიუხედავად ამისა, აუცილებელი ჩანს ამ ურთიერთმიმართების შესწავლა კონკრეტულ სიტყვასა და ამ სიტყვის მნიშვნელობებთან დაკავშირებით.

ცნობილია მოსაზრება, რომლიც თანახმადაც ნებისმიერი სიტყვა ერთდროულად აკონკრეტებს და აზოგადებს კიდეც (იგულისხმება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა). მაგრამ ეს განზოგადება, ეს ზოგადი მნიშვნელობა,

მაგალითად, რომელიმე „წყალი“ სიტყვისა, მხოლოდ „წყალი¹“, „წყალი²“... „წყალი³“ კონკრეტული მნიშვნელობების მიღმა ძვეს, არასდროს რეალიზდება მოცემულ კონტექსტში; არ რეალიზდება იმიტომ, რომ არაენობრივი, ექსტრალინგვისტური (ამ შემთხვევაში: ლოგიცისტური) ფაქტია.

ყოველი საგანი ან მოვლენა გვეძლევა ორგვარად: ჭვრეტით და ცნებით. უკანასკნელის საშუალებით გაიაზრება საგანი ან მოვლენა ([8], 155; 187). საგანი,

¹ სინქრონიული თვალსაზრისით არამოტივირებული სიტყვები დიაქრონიულ ჭრილში შესაძლოა მოტივირებული აღმოჩნდნენ.

² ნიშანდობლივია, რომ გარეენობრივი მოტივირებული სიტყვები (იგულისხმება: ხმაბადვითი სიტყვები) უმეტესად ერთგვაროვანი (ან თითქმის ერთგვაროვანი) აღმოჩნდებიან სხვადასხვა ენებში.

#130#

რომელიც არ არის გააზრებული, არ შეიძლება აისახოს ენობრივად. საგანი და მისი ამსახველი ცნება იგივეობაა, ოღონდ ერთი არსებობს რეალურ სამყაროში, ხოლო მეორე (ცნება) — ცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, ობიექტური სინამდვილე (საგანი ან მოვლენა) ამოსავალია ცნებისათვის, მაგრამ, თავის მხრივ, ენობრივი ფაქტისათვის ამოსავალი უკვე ცნება იქნება. სხვაგვარად: ცნებისათვის პირველადია საგანი, სიტყვისათვის პირველადია ცნება. ცნებათა საფუძველზე ყოველი ენა თავისებურად ანაწილებს და ასახავს რეალობას. სიტყვისათვის ცნების პირველადობა თუნდაც იმით მტკიცდება, რომ არის რიგი მოვლენა, (მაგალითად, შეგრძნებათა სახეობები), რომლებიც მხოლოდ ცნებებში არსებობენ (შდრ. [9], 281-282), მათ არ მოეპოვებათ მატერიალური სუბსტანტი, თუმცადა მატერიალურად ვლინდებიან, როგორც მუდმივი ან პერიოდული თვისება კონკრეტული ინდივიდისა და „თავისთავადობა“ მხოლოდ ცნებებში აქვთ მოპოვებული.

ცნებები უშუალოდ არ რეალიზდებიან ენაში. ისინი გაშუალებული არიან კონტექსტური ლექსიკური მნიშვნელობებით და სწორედ ეს მნიშვნელობები აისახება ენობრივ ფორმებში. ეს მნიშვნელობები ორი ძირითადი ასპექტის მიხედვით დაჯგუფდებიან: სივრცით და დროით ასპექტებად. აღნიშნული სქემაზე ასე შეიძლება წარმოვსახოთ:

საგანი	ცნება	მნიშვნელობა	ფორმა
„თავი“	თ ა ვ ი (უკავშირდება გაგება: ძირითადი, არსებითი, დამასრულებელი, განმსაზღვრელი და ა.შ.)	სივრცითი: 1. სხეულის მთავარი ნაწილი, 2. წამმართველი 3. რისამე ზედა ნაწილი, 1. დაგვირგვინება რისამე	თ ა ვ - ი ა-თავ-ებ-ს (გაათავა)

ამასთან დაკავშირებით საჭირო ჩანს რამდენიმე განმარტება:

ა) საგნობრივ სამყაროში შეუძლებელია სივრცითისა და დროითის დაშორება. ყოველი საგანი ან მოვლენა ერთდროულად არსებობს სივრცესა და დროში, მაგრამ ცნებით სამყაროში ურთიერთგამოყოფილია, დაკონკრეტებულია ის, რაც სინამდვილეში განუყოფელია. ენა უშუალოდ ასახავს ამ ვითარებას.

ბ) როგორც ზემოთ მოტანილი სქემით აღმოჩნდა, რამდენიმე ცნებით (ლექსიკურ) მნიშვნელობას ერთი ფორმა აღმოაჩნდა („ფონეტიკური გარსი“). სხვაგვარად: ერთსა და იმავე ბგერათკომპლექსს სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს ნაირგვარი ლექსიკური მნიშვნელობა. ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა. მაგრამ საქმის რეალური ვითარება სულ სხვაგვარია, დამთხვევა მოჩვენებითია.

„თავი“ ბგერათკომპლექსი ნაირგვარი მნიშვნელობის დროს ნაირგვარ „თემატიკურ რკალში“ მოხვდება. გარდა ამისა, განსხვავებულ სინონიმურ რიგებს

#131#

შექმნის (შდრ. მაგალითად: 1. თავი: მეთაური, წინამძღოლი და 2. თავი: მწვერვალი, წვერო, წვეტი). განსხვავება ზოგჯერ პარადიგმულ ფორმათწარმოებაშიც იჩენს თავს: „თავი“ (უკუქცევითი ნაცვალსახელი) და „თავი“ (ყველა დანარჩენი მნიშვნელობით) განსხვავებულ ბრუნებას გვიჩვენებენ.

§7. ზემოაღნიშნულს უშუალოდ უკავშირდება სახელდების პრობლემა საზოგადო სახელის დონეზე. სახელდებისას ხდება:

ა) ამორჩევა (საგნის ამ მოვლენის მრავალ მხარეთაგან ერთისა) და გამორიცხვა (ყველა დანარჩენისა).

ბ) თავისებური „სინეკდოქე“ (ანუ: მთელის ერთი მხარის დასახელება მთლიანის მნიშვნელობით).

ასე, მაგალითად, „მრავალძარღვათი“ ამ მცენარის ანატომიურ აგებულებას მიექცა ყურადღება, სიტყვით „ქინძისთავი“ ენა საგნის ფორმაზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო სიტყვით „ცისკარი“ — ამ მოვლენის არსზე. სახელდებისათვის საგნის რომელიმე თავისებურების გამორჩევის მიზეზი ძირითადად ენობრივის მიღმა ძევს და იგი ერთნაირად შეიძლება იყოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა თუ რელიგიის სფეროში საკვლევ-სადიებელი. მაგრამ იმავდროულად ეს ენის შინაგანი ბუნებითაც ჩანს შეპირობებული, რადგან ყოველი ენა, მართლაც, იძლევა ოდენ მისთვის დამახასიათებელ საგნობრივ წარმოდგენებს.

§8. ცნება, უკეთ: ცნებითი მნიშვნელობა ენაში შეიძლება გადმოიცეს ორგვარად: ორგანულად (სინთეზურად) და აღწერითად (ანალიზურად). მაგალითად: თვალი (ა) = მხედველობის ორგანო (ბ) = თვალბუდეში მოქცეული გუგა, რომელიც აღიქვამს სინათლეს (გ); სამივე არსებითად ერთი და იმავე ობიექტურ სინამდვილეს ასახავს,

მეორე და მესამე ვარიანტები შესაძლოა უფრო ზუსტად, ვიდრე პირველი და მაინც სწორედ ის „აირჩია“ ენამ გარეენობრივი ფაქტის სიმბოლოდ, სწორედ ისაა სიტყვა მაშინ, როცა დანარჩენი ორი განმარტების დონეზე რჩება. ამრიგად, სამივე შემთხვევაში გვაქვს სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ სიტყვა მხოლოდ პირველ შემთხვევაში გვაქვს. ენაში არაიშვიათად გვხვდება სიტყვები, რომლებიც წარმოშობით აღწერითნი არიან („ცისარტყელა“, „რკინიგზა“, „შვილიშვილი“...), მაგრამ სიტყვათა უმრავლესობა მაინც ორგანულ წარმოებას განეკუთვნება და ისიც, რაც არ არის ასეთი წარმოებისა, აქეთკენ ისწრაფვის.. ამრიგად, ენაში შეიძლება იყოს ცნებითი მნიშვნელობა, მაგრამ იგი ყოველთვის არ რეალიზდება სიტყვად¹. ენა, საზოგადო სახელის დონეზე, არსებითად ცნებითი მნიშვნელობების გამომხატველი ორგანული ფორმების სისტემაა.

§9. ცნება, როგორც უკვე აღინიშნა, ამოსავალია სიტყვისათვის. მაგრამ ეს პროცესი შეუქცევადი არაა. სიტყვამ (იგულისხმება გამჭირვალე ეტიმოლოგიის მქონე სიტყვა), თავიდან თვით ცნების მიერ შეპირობებულმა, შეიძლება თავის მხრივ შეუნარჩუნოს ცნებას ის გაგება, რომელიც ოდესღაც სახელდების საფუძვლად ქცეულა. ასე, მაგალითად, ისეთი სიტყვების უკუგავლენა შესაბამის ცნებით მნიშვნელობებზე, როგორიცაა „წერილი“, „ცისარტყელა“, „რკინიგზა“

¹ მაგალითად, გამოთქმა „კაცი, რომელიც იცინის“ — ერთ კონკრეტულ პიროვნებას გულისხმობს, ერთცნებიანია, მაგრამ სიტყვად არ გაფორმებულია. ე.ი. სიტყვის მნიშვნელობა არის, მაგრამ არ არსებობს შესაბამისი სიტყვა.

#132#

და მისთ., აშკარა უნდა იყოს. მოტივაციის ამგვარი გამჭირვალობა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის შენარჩუნებისა.

§10. საზოგადო სახელის არსის, მისი განმსაზღვრელი თვისების განხილვის შემდეგ უკვე შესაძლებელი ჩანს გადასვლა საკუთარი სახელის ენობრივი თავისებურებების გარკვევაზე.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად შინაარსობრივი სახესხვაობებისა, ფორმის თვალსაზრისით საკუთარი და საზოგადო სახელები არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მართალია, ფორმოზოგადო ერთგვაროვანი მაწარმოებელი ზოგჯერ ნაირგვარ ფუნქციას ასრულებს საზოგადო და საკუთარ სახელებში¹, მაგრამ ეს მაინც მნიშვნელობის ასპექტია და არა ფორმისა. ამიტომაც ძირითადად საკუთარი სახელების გამოყოფა საზოგადო სახელების კლასიდან ხდება მნიშვნელობის, ფუნქციის და არა ფორმის საფუძველზე; ე.ი. ხდება თვისობრივი და არა ფორმოზოგადო გამოცალკევება. თავის მხრივ კი ფუნქციური სხვაობა ზოგჯერ ფორმაზეც ახდენს გავლენას (ცნობილი მაგალითია: ა და ე ხმოვნებზე ფუძედაბოლოებული საზოგადო სახელთა უმეტესობის კვეცა სათანადო ბრუნვებში და ანთროპონიმების უკვეცელობა). ამდენად, გამოყოფა კი ხდება ფუნქციის, მნიშვნელობის საფუძველზე, მაგრამ ენაში საკუთარ სახელთა არსებობა მართოდ ფუნქციური არ არის, პარადიგმებში იგი ზოგჯერ საზოგადო სახელისაგან ფორმოზოგადო განსხვავებასაც გვიჩვენებს². ამდენად, ფორმოზოგადო სხვაობა მეორეული ფაქტია.

§11. საზოგადო სახელთან მიმართებაში საკუთარი სახელი ორი სახის შეიძლება იყოს:

ა) საკუთარი სახელი, რომელიც ამ ფუნქციით მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში (კონტექსტურ ყალიბში) გვევლინება და ყველა სხვა შემთხვევაში საზოგადო სახელის მნიშვნელობის მატარებელია. პოტენციურად ასეთია საზოგადო სახელთა უმეტესობა, ჩვეულებრივ კი — ნათესაობითის აღმნიშვნელი სიტყვები: „მამა“, „დედა“ და მისთ. (იხ. [11], 038).

ბ) საკუთარი სახელი, რომელიც საბოლოოდ არის გამოყოფილი საზოგადო სახელთა კლასიდან და კონტექსტურ ყალიბთა აბსოლუტურ უმრავლესობაში მხოლოდ საკუთარი სახელის ფუნქციით გვევლინება.

§12. საკუთარი სახელი, ისევე როგორც აპელატივი, ყოველთვის კონტექსტურია (იხ. [12]). ეს ეხება როგორც ზოგადი კლასიფიკაციის დონეს, ასევე ყოველ კონკრეტულ შემთხვევას. ეს ნიშნავს: რა არის მოცემული სიტყვა — საზოგადო თუ საკუთარი სახელი — დგინდება მხოლოდ კონტექსტში. იმავდროულად საკუთარი სახელის ნაირსახეობათა (ტოპონიმია ის თუ ეთნონიმი, ჰიდრონიმი,

¹ მაგალითად, -ის ფორმანტს ნაირგვარი უჩანს ფუნქცია საზოგადო სახელში (შინდ-ის წვენი) და ტოპონიმში (შინდ-ის-ი).

² გარდა ამისა, შეიძლება გამოიყოს ზოგი ფორმანტი, რომელიც უპირატესად მხოლოდ საკუთარ სახელებთან გამოიყენება. ასეთია, მაგალითად, ტოპონიმებში -ეთ სუფიქსი, რომელიც შესაძლოა ტოპონიმებთან ფუნქციურად გატოლებულ საზოგადო სახელებშიც იქნეს გამოყენებული (ხმელ-ეთ-ი, ბნელ-ეთ-ი, უკუნ-ეთ-ი, გზ-ეთ-ი... ([10], 140); ანთროპონიმებში — კნინობითობის -იკ/-იკო და მისთ. (ბეს-იკ-ი, დათ-იკ-ო, თამრ-იკ-ო...); ეს ფორმანტებიც გამოიყენება ანთროპონიმებთან გატოლებულ აპელატივებში: დედ-იკ-ო, მამ-იკ-ო...

#133#

ანთროპონიმი თუ ზოონიმი) გარკვევაც მხოლოდ კონტექსტით ხდება შესაძლებელი. რა არის, ვთქვათ, „ჭალა“ — აპელატივი და ტოპონიმი — ეგ მხოლოდ კონტექსტით დადგინდება. „დონ-ჟუანი“ კონკრეტული პიროვნების სახელიც იყო და (მისი ხასიათის მიხედვით) საერთოდ ყველა მექალთანე კაცსაც აღნიშნავს. რა არის: „წკერე“, „სუატისი“, „სულორი“? რეალური მნიშვნელობის მქონე სიტყვები თუ ყოველგვარი მნიშვნელობისაგან დაცლილი ბგერათვომპლექსები? ამას კონტექსტი

გარკვევს. „რიონი“ ტოპონიმიცაა და ჰიდრონიმიც, ასევე „სუფსა“, „ქისტი“ — ეთნონიმიცაა და ტოპონიმიც ([14], 186). ამგვარ პარალელურ საკუთარ სახელთა არსებობის მიზეზი ნაირგვარია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს. მსგავსი სტატუსი ყოველთვის არ ნიშნავს მსგავს ეტიმოლოგიას ან ეტიმოლოგიას.

§13. რა ფუნქცია მოეპოვება საკუთარ სახელს ენის საერთო ლექსიკაში? რა არის მისი დანიშნულება და მნიშვნელობა?

თუ საზოგადო სახელი ასახელებს საგანს ან მოვლენას და იმავდროულად გარკვეული ცნების აღმნიშვნელად გვევლინება, საკუთარი სახელი მხოლოდ ასახელებს ობიექტს. საზოგადო სახელი საგანსა ან მოვლენას უკავშირდება ცნების საშუალებით, საკუთარი სახელი მიემართება საგანს (ან პიროვნებას) უშუალოდ; საზოგადო სახელის მნიშვნელობა ცნებითია, საკუთარი სახელია — საგნობრივი ([15], 7; 28). ა. დოზას სამართლიანი შენიშვნა, რომ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სახელთა „სემანტიკური ცხოვრება“ მათ წარმოქმნასთან ერთად სრულდება, სავსებით მიესადაგება ყველა საკუთარ სახელს. ის ვარაუდი, რომ საკუთარ სახელს მოეპოვება ცნებითი ანუ კონოტატიური მნიშვნელობა ([16], 71-77), რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი უყოყმანოდ იზიარებს (იხ. მაგალითად, ([17], 260), ხოლო სხვები ერთგვარად დათმობაზე მიდიან და აღნიშნავენ, რომ „საკუთარი სახელი ისე მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ცნებასთან, როგორც საზოგადო სახელი“ ([18], 204), ანდა ის, რომ ეს კავშირი საკუთარ სახელსა და აღსანიშნს შორის გაშუალებულია მოცემული ობიექტის ასახვით ადამიანის ცნობიერებაში (იხ. [13], 57-58 და [19], 11-12), სერიოზულ დაეჭვებას იწვევს. საკუთარი სახელი ყოველთვის უშუალოდ მიემართება ობიექტს, იწვევს კონკრეტულ საგნობრივ და არა ცნებით წარმოდგენას. ცნებითი წარმოსახვა ხდება იმ საზოგადო სახელის დონეზე, რომელიც საფუძვლად დაედება ხოლმე ამა თუ იმ საკუთარ სახელს. საკუთარი სახელი და სახელდებული ობიექტი გაშუალებულია მხოლოდ ამგვარი საზოგადო სახელით. ეს არის საკუთარი სახელის

წარმოქმნის ერთ-ერთი საშუალება და იგი აუცილებელია ამ წარმოქმნისათვის, მაგრამ სრულიადაც არ არის აუცილებელი საკუთარი სახელის შემდგომი არსებობისათვის.

ცნებითი მნიშვნელობის უქონლობა იმდენად არსებითი ფაქტორია საკუთარი სახელების დახასიათების დროს, რომ ზოგჯერ მის ქონა-უქონლობას დებენ საზოგადო და საკუთარი სახელების დიფერენციაციის საფუძვლად (ლ. ვაისგერბერი, ს. ულმანი და სხვ.).

საზოგადო სახელი არამსგავსი (არაერთგვაროვანი) საგნებიდან გამოყოფს მსგავს (ერთგვაროვან) საგნებს და აერთიანებს მათ ერთ ლექსიკურ რიგში („მთა“ გამოყოფს „ტბიდან“, „მდინარიდან“, „სოფლიდან“, „გორაკიდან“... და იმავდროულად

#134#

აერთიანებს ყველა მსგავსს: „იალბუზს“, „მყინვარწვერს“, „უშბას“, „თეთნულდს“, და, საერთოდ, ამ თვისების მქონე ყველა სახელდებულ თუ უსახელო ობიექტს). რასაკვირველია, გამოყოფა-გაერთიანების პრინციპი და დონე ნაირგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, „რელიეფის დონეზე“ „მთა“ დაუპირისპირდება „დაბლობს“, „გორაკს“, „ტბას“, „ველს“... და გააერთიანებს „იალბუზს“, „უშბას“, „მყინვარწვერს“... მაგრამ „სულიერი და უსულო საგნების დონეზე“ უკვე ერთ სიბრტყეზე მოექცევა „მთა“, „დაბლობი“, „გორაკი“, „ტბა“... და დაუპირისპირდება „ადამიანს“, „ცხოველს“. პირველ შემთხვევაში „მთა“, „დაბლობი“, „ტბა“ არაერთგვაროვანია, მეორე შემთხვევაში — ერთგვაროვანი.

საკუთარი სახელი გამოყოფს მსგავსიდან (ერთგვაროვანიდან) ერთადერთს და უპირისპირებს ყველა დანარჩენს. საკუთარი სახელისათვის დამახასიათებელია მხოლოდ გამოყოფის, გამოცალკავების თვისება, გამაერთიანებლის უნარი მისთვის უცხოა¹. გამოყოფს, მაგალითად, „მთა“ ცნებითი მნიშვნელობით გაერთიანებულ ობიექტებს „იალბუზს“, „მყინვარწვერს“, „უშბას“... ე.ი. საკუთარი სახელი აცალკევებს

იმას, რასაც საზოგადო სახელი აერთიანებს. იმავდროულად, რამდენიც უნდა იყოს „მცინვარწვერი“ სახელწოდება, საკუთარი სახელი გულისხმობს მხოლოდ ერთს, კონკრეტულ კონტექსტში მოცემულს და გამორიცხავს ყველა დანარჩენს, რადგან მოცემულ რეგიონში ეს ობიექტი, მართლაც, ერთადერთია და თუ ამ რეგიონში ერთადერთია რომელიმე მთა, მაშინ „მთა“ საზოგადო სახელი ამ ობიექტისათვის საკუთარი სახელის მნიშვნელობას მოიპოვებს. ისევე, როგორც ერთ ოჯახში მხოლოდ ერთი „გიორგი“ ან „პეტრე“ შეიძლება იყოს (გამონაკლისები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ისინი საკითხის არსს მაინც ვერ შეცვლიან), ხოლო ქალაქში, მით უმეტეს სახელმწიფოში, რამდენიმე ათასი, მაგრამ რა ფართოც უნდა იყოს გავრცელების სფერო და რაოდენობა, თვითეული მათგანი იმ თვისებას ინარჩუნებს, რაც ერთი ოჯახის ფარგლებში ჰქონდა².

§14. გაირკვა საკუთარი სახელის მნიშვნელობა, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ენაში ფორმოზრივ რეალიზდება საკუთარი სახელის ყველა მნიშვნელობა. სხვაგვარად: ტოპონიმური მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ აუცილებლად გვექნება ტოპონიმი, ასევე: ყველა ანთროპონიმული მნიშვნელობა არაა ანთროპონიმი და არც ყველა ეთნონიმური მნიშვნელობა იქცევა ეთნონიმად. შინაარსისა და ფორმის პლანები აქ მკვეთრად გასარჩევი და გასამიჯნია. კონკრეტულ, ერთადერთ ობიექტზე ყოველგვარი მითითება კი ქმნის საკუთარი სახელის მნიშვნელობას, მაგრამ ფორმოზრივ ყოველთვის ვერ იქცევა საკუთარ სახელად, ისევე, როგორც ყველა ცნებითი მნიშვნელობა ენაში არ რეალიზდება ლექსიკური

¹ როცა საკუთარი სახელების გამაერთიანებელ უნარზე ლაპარაკობენ, გულისხმობენ ან ამოსავალი საზოგადო სახელის დონეს, ანდა საკუთარ სახელთა წარმოებას, ფორმას, სადაც, მართლაც იქმნება ერთგვაროვანი სისტემები. მაგრამ ამ დროს ზოგჯერ გაუმართლებლად ირევა მნიშვნელობისა და ფორმის პლანები. საზოგადო სახელი ქმნის მნიშვნელობითსა და ფორმოზრივ სისტემებს, საკუთარი

სახელი — მხოლოდ ფორმოვრცხ. ეს იმიტომ, რომ საკუთარი სახელის მნიშვნელობა საგნოვრცხია, ე.ი. არაენოვრცხია, და, ბუნებრივია, რომ ენოვრცხი სისტემას ვერ შექმნის.

² ეს არ გულისხმობს იმას, თითქოს გარკვეულ კოლექტივში საჭირო არ ხდება, მაგალითად, ორი „გიორგის“ გარჩევა. ჩვეულებრივ ეს მიიღწევა მამის სახელისა ან გვარის დართვით, რიგ შემთხვევაში თიკუნით, სხვა დროს — სახელის კნინობით-საალერსო ვარიანტებით და ა.შ.

#135#

ერთეულით, ან როგორც ყოველგვარი გრამატიკული მნიშვნელობა არ ჩამოყალიბებულა გრამატიკულ ფორმად. ენაში მუდმივ იქმნება კონკრეტული ობიექტის აღნიშვნის აუცილებლობა და არც თუ იშვიათად შევხვდებით ასეთ გამოთქმებს: „ხიდს იქით რომ მოსახვევია“, „წისქვილთან რომ მუხაა“, ან: „წყაროს ზემოთ რომ სახლობს“ და მისთ. ყველა ამ შემთხვევაში გვაქვს საკუთარი სახელის მნიშვნელობა, მაგრამ არა გვაქვს საკუთარი სახელი. მნიშვნელობა ამ შემთხვევაშიც საგნოვრცხია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დონეზე მისი ენოვრცხად რეალიზაცია მაინც ცნებითი მნიშვნელობების საშუალებით ხდება.

§15. კონკრეტული ობიექტის საკუთარი სახელით სახელდების მიზეზი¹ მისი სხვა მსგავს (თუ არამსგავს) ობიექტაგან ამორჩევა-გამორიცხვის აუცილებლობაა. იმავდროულად დასადგენია სახელდების საფუძველიც (ე.ი. მოტივაცია). სახელდების პროცესი შეიძლება იყოს სტიქიურიც და გეგმაზომიერიც (ობიექტის სახელდება აუცილებელი იყო სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ისტორიული ვითარების გამო), მაგრამ თვით სახელდების პრინციპი (ის, რომ მოცემულ ობიექტს დაერქვა „კოპიტნარი“, სხვა „თელიანი“, „ნაბელლავი“, „საირმე“...) არც არის და არც შეიძლება იყოს სტიქიური. ამიტომ გარკვეული კანონზომიერების ძიება აქ აუცილებელია. ობიექტი მრავალსახაა, მაგრამ ყოველი ეპოქა იღებს მისთვის რაღაცით მნიშვნელოვან ნიშანს და ამით სახელდება ობიექტს. ამგვარი ამორჩევის

მიზეზში უკუფენილია თვით ეპოქის, გარკვეული საზოგადოების ყოფითი თუ სულიერი ცხოვრება და ზოგჯერ იქნებ შესაძლებელიც გახდეს ამის მიხედვით დახასიათდეს გარკვეული ეპოქა. ობიექტის მრავალ ნიშანთაგან ერთის ამორჩევა არის საკუთარი სახელის მოტივაციის პირველი წესი.

საკუთარი სახელი გარეენობრივი (საგნობრივი მიმართების) თვალსაზრისით მოტივირებულია დიაქრონიულადაც და სინქრობულადაც, შინაენობრივი თვალსაზრისით კი შესაძლოა მოტივირებული იყოს მხოლოდ ისტორიულად; რადგან, რომელიმე, ვთქვათ: ბ ა თ უ მ ი || ბ ა თ ო მ ი ტოპონიმის შემთხვევაში ახლა ვეღარ ვამყარებთ კავშირს მისთვის ამოსავალ საზოგადო სახელთან. თანამედროვე ენობრივი კოლექტივისთვის ასეთად დარჩება იგი ეტიმოლოგიის ამოხსნის შემდეგაც. ზემოაღნიშნული იქნება მოტივაციის მეორე წესი.

აქვე საჭირო ჩანს იმის აღნიშვნაც, რომ საზოგადო და საკუთარი სახელის მოტივაციები სხვადასხვა ოდენობებია. თანამედროვე ქართულში „თელა“ საზოგადო სახელი არამოტივირებულია, მაგრამ ტოპონიმი „თელა“ უკვე მოტივირებულია და მოტივირებულია იგი საგნობრივად, იმ ობიექტის მიხედვით, რომელსაც ასახელებს. ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მართოდენ საგნობრივი მიმართებით სახელწოდება ვერ წარმოიქმნება, აუცილებელია ენობრივი მიმართებაც და ამ ენობრივ მიმართებას საგანთან საკუთარი სახელი ამყარებს მისი ფუძისათვის ამოსავალი საზოგადო სახელის საშუალებით. ამრიგად, საკუთარი სახელის მოტივაცია ორი მხარისგან შედგება: ა) გარეენობრივი მხარე (საგნობრივი მიმართება) და ბ) შინაენობრივი მხარე (ამოსავალი საზოგადო ან საკუთარი სახელი). შდრ. თელა → სოფელი თელა; სოფ. ჯრუჭი → მდინარე

¹ საჭიროა შეთანხმება: სახელდება ხდება როგორც საგნისა, ასევე მოქმედებისა, თუმცა ტრადიციულად ამ დროს, როგორც წესი, პირველი ივარაუდება. ამჯერადაც სწორედ ესაა კვლევის მიზანი.

ჯრუჭულა). მოტივაციის გარეუზობრივი და შინაუზობრივი პლანების ერთიანობა იქნება საკუთარ სახელთა მოტივაციის მესამე წესი.

ამდენად, სახელდება ემყარება ორ ფაქტორს: ა) ობიექტის გამოცალკეება-აღნიშვნის აუცილებლობას და ბ) ობიექტის სახელდებისათვის მისი ამა თუ იმ ნიშნის ამორჩევას. პირველი ქმნის საკუთარ სახელს, მეორე განაპირობებს საკუთარ სახელთა სისტემების ნაირგვარობას.

მოტივირების ინტენსივობა, რასაკვირველია, ნაირგვარია საკუთარ სახელებში. იგი გაცილებით უფრო ძლიერია მეტსახელებში (ფიცხელა, ქვაკაცა, ვარსკვლავა...), ზოონიმებში (ყურმა, მურა || მურია, ნიშა, ლომა...), ტოპონიმებში (კოპიტნარი, წყალწითელა, მყინვარწვერი...), ვიდრე ანთროპონიმებში.

§16. შეხედულება ობიექტზე, ის წარმოდგენა, რომელსაც ობიექტი იწვევს, რასაკვირველია, სუბიექტურია. ქედის მონაკვეთი, რომელიც ერთისთვის „ცხენისზურგია“, სხვისთვის შესაძლოა „თავკვეთილი“ აღმოჩნდეს. ობიექტის დახასიათება შესაძლოა შეფარდებითი (ან თუნდაც მცდარი) იყოს, მაგრამ ის მაინც ობიექტის გარეგანი თუ შინაგანი თვისებებითაა შეპირობებული. მაგრამ, თუ შეფასება სუბიექტურია, როგორღა ხდება შესაძლებელი, რომ გარკვეული კოლექტივი უყოყმანოდ იღებს, ვთქვათ, სახელწოდებას „ცხენისზურგა“? აქ ორი ფაქტორი იჩენს თავს: ა) უპირველესად განმსაზღვრელად გამოდის გარკვეული ენობრივი კოლექტივი — ენა განაპირობებს, თუ როგორ დაინახოს ამ ენის მფლობელმა ესა თუ ის საგანი; ბ) არანაკლები მნიშვნელობისაა თვით სახელწოდების ზემოქმედებითი ძალა სუბიექტზე: „ცხენისზურგა“ ტოპონიმი „აიძულებს“ მოცემული ენის მფლობელს დაინახოს ობიექტი სწორედ ასეთად და არა სხვაგვარად. ყოველივე ეს ტოპონიმამდელ დონეს განეკუთვნება, როცა ფუძედ გამოყენებული საზოგადო სახელის სემანტიკა ჯერ ისევ ფუნქციონირებს.

§17. ძირითადი პირობა ესაა: არ უნდა მოხდეს საკუთარი სახელის კვლევის შენაცვლება მისთვის ამოსავალი აპელატივის კვლევით. თითოეული მათგანი განსხვავებულ სტრუქტურასა და სისტემებს ქმნის ენაში. საზოგადო და საკუთარი სახელების ურთიერთობა ძირითადად სამ მიმართებაზე დაიყვანება: ა) ამოსავალი საზოგადო სახელის აპელატიური მნიშვნელობა ფუნქციონირებს მოცემული ენის ყველა მფლობელისათვის რეგიონისდა მიუხედავად; ბ) ეს მნიშვნელობა ღირებულია მხოლოდ გარკვეული რეგიონის მოსახლეობისათვის. მაგალითად, მთის მოსახლეობისათვის, „კოპალა“ ისეთი ტოპონიმია, რომელშიც ჯერ ისევ შემორჩენილია ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა, მაგრამ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისათვის იგი მხოლოდ ტოპონიმია, მას მარტოდენ საგნობრივი მნიშვნელობა მოეპოვება — მიმართება ობიექტზე არის მისი ერთადერთი დანიშნულება; გ) ეს ურთიერთობა სინქრონიულია მხოლოდ რომელიმე ეპოქის საზოგადოებისათვის, მაგალითად, თუ „წყნეთი“ ← *წყანეთი ← *წყან „მუხა“; შდრ. მეგრული: „ჭყონი“ — მუხა ([3], 128), მაშინ, ამ შემთხვევაში, ამოსავალი აპელატივი ფუნქციონირებდა და, ამდენად, სინქრონიული იყო იმ ეპოქის ქართულად მოლაპარაკე საზოგადოებისათვის, როცა ჯერ ისევ ცოცხალი იყო *წყან სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა.

ახალი ქართული ენის კათედრა

#137#

ლიტერატურა

1. Ф. Де Соссюр, Курс общей лингвистики, Москва, 1933.
2. Ш. Балли, Общая лингвистика и вопросы французского языка, Москва, 1955.
3. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

4. Лю Блумфилд, Язык, Москва, 1968.
5. არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, იხ. წიგნში: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968.
6. W. Porzig, Wesenhafte Bedeutungsbeziehungen, Beiträge zur Geschichte der deutschen Sprache. 58, 1934; კრიტიკისათვის იხ. ბ. ფოჩხუა, ელემენტარული ველი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVI, თბ., 1968.
7. ივ. ქავთარაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, თბ., 1959; ირ. სურგულაძე, „წერა“ ცნების გაგებისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI-XVII, თბ., 1972.
8. И. Кант, Критика чистого разума, Сочинения в 6 томах, том 3, Москва, 1964.
9. Г. Шухардт, Вещи и слова, Хрестоматия по истории языкознания XIX-XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
10. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
11. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950.
12. А. А. Потебня, Из записок по русской грамматике, Харьков, 1888ж И. И. Мещанинов, Члены предложения и части речи, Москва-Ленинград, 1945; Тезисы Пражского лингвистического кружка, Хрестоматия по истории языкознания XIX-XX веков, Москва, 1956; В. И. Болотов, К вопросу о значении имен собственных, Восточнославянская ономастика, Москва, 1972. См. Также: 17, 260.
13. В. А. Никонов, Введение в топонимику, Москва, 1965.
14. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
15. М. Н. Морозова, Вопросы топонимики, Москва, 1969.
16. О. Есперсен, философия грамматики, Москва, 1958.
17. И. И. Ковалик, Смысловая структура собственных имен, Ономастика Поволжья, Ульяновск, 1969.

18. А. В. Суперанская, Структура имени собственного, фонология и морфология, Москва, 1969.

19. В. А. Никонов, Этнонимия, сб. Этнонимы, Москва, 1970.

Б. А. Джорбенадзе

ИМЯ СОБСТВЕННОЕ В ОБЩЕЙ ЛЕКСИКЕ ЯЗЫКА

Резюме

1. Определение места имени собственного в общей лексике языка относится к числу тех проблем, изучение которых имеет существенное значение в современном языкознании. Изучение собственных имен возможно в двух аспектах: а) сравнительного анализа языковых особенностей имени собственного и имени нарицательного; б) специфического, не зависящего от методов изучения имени нарицательного анализа лингвистических категорий имени собственного.

#138#

2. Имя собственное выделяет из однородных объектов единственный объект и называет его, в отличие от имени нарицательного, которое членит абстрагированный в понятиях окружающий нас мир на классы однородных предметов и явлений.

3. Значение имени нарицательного понятийное, так как оно соотносится с объектом через понятия, в отличие от имени собственного, которое устанавливает с обозначаемым им объектом непосредственную связь; следовательно, имя собственное имеет предметное значение.

4. Имя нарицательное может быть мотивированным и немотивированным. Имя собственное всегда мотивировано в диахроническом аспекте, но может быть и мотивированным, и немотивированным в синхронном аспекте.

5. В языке существуют имена собственные двух видов: а) имя собственное, которое во всех контекстах выступает в этой функции; б) имя собственное, которое имеет такое значение только в одной контекстуальной модели, а в остальных случаях выступает в функции имени нарицательного.

6. В языке всегда существует значение имени собственного, но это не значит, что мы всегда имеем имя собственное. Функциональный и формальный планы в этих случаях требуют строгого различия. Например, в выражении «За рекой, в тени деревьев» присутствует предметное значение топонима, на самого топонима все же нет, как и в контексте «Человек, который смеется» явно выражена антропонимическая функция, но антропоним, как языковая форма, не образуется. Становление формы имени собственного требует специального изучения.

7. Различие между именем собственным и именем нарицательным основывается не на формальном признаке, а на функции, значении, назначении. В то же время функциональное различие часто влияет и на парадигматические формы данных имен, что выражается в различных системах склонения, использовании одних и тех же формантов для различных функций или же одних аффиксов преимущественно в именах собственных, других — в именах нарицательных. Таким образом, функциональное различие является основанием для последующего формального различия имени собственного и имени нарицательного: выделение класса имени собственного основывается на функции, значении этих форм, но существование имени собственного в языке нельзя считать только функциональным.

8. Соотношение объекта и имени собственного при образовании последнего опосредовано значением соответствующего имени нарицательного, но в дальнейшем

опосредующая ступень выпадает и остается прямая связь: имя собственное — данный объект.

9. Фонетическая и грамматическая форма, с одной стороны, и лексическое (у имен собственных — предметное) и грамматическое значения, —

#139#

с другой стороны, как имен нарицательных, так и имен собственных устанавливаются только в реальном или подразумеваемом контексте.

10. На разных уровнях имени собственного (антропоним, топоним, гидроним, этноним, зооним...) наблюдается разная интенсивность и потребность мотивированности.

B. Jorbenadze

PROPER NOUNS IN THE COMMON VOCABULARY OF LANGUAGE

S u m m a r y

1.The basis of the initial differentiation of proper and common nouns in language is functional opposition. The difference in form (if such occurs) is secondary.

2.At present, proper and common nouns with homogeneous structures may historically occur to be of different origin. Thus, similar status does not always mean similar etymology.

3.The form of a proper noun and its lexical meaning differ. For example, in this context: “Across the river, in the shade of the trees” the lexical meaning of a place name is given, but it is impossible to take it for a place name form. Such is “A man who laughs” on the anthroponymy level, etc. Failure to take this into consideration causes confusion.